



გვლითი და მტკიცებულია  
სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის  
საბჭო  
აკადემიური საბჭოს დადგენილება N 16

12 მარტი 2021 წელი

**სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დუალური მიდგომით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესი**

**მუხლი 1. რეგულირების სფერო**

წინამდებარე წესი განსაზღვრავს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) განხორციელების წესს (შემდგომში - წესი) და მასთან დაკავშირებულ სხვა პროცედურულ საკითხებს.

**მუხლი 2. სამუშაოზე დაფუძნებული დუალური სწავლების ფორმა**

**დუალური სწავლება** გულისხმობს დაწესებულებისა და საწარმოს მიერ სასწავლო პროგრამის ერთობლივად განხორციელებას, რა დროსაც სწავლის შედეგების (50%-ზე მეტი) მიიღწევა საწარმოში სამუშაოს შესრულებისას, პროფესიულ სტუდენტს შესაძლოა ჰქონდეს დასაქმებულის/სტაჟიორის სტატუსი და იღებდეს ანაზღაურებას/ სტიპენდიას/ სხვა სახის წახალისებას საწარმოსთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.

**მუხლი 3. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დუალური მიდგომით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და განხორციელება**

1. სამუშაოზე დაფუძნებული დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მუშავდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე.
2. ერთსა და იმავე პროფესიულ სპეციალიზაციაზე შესაძლებელია შემუშავდეს ორი სახის საგანმანათლებლო პროგრამა მოდულური ან/და დუალური, რომელთაგან დუალური განსაზღვრავს სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი პროცენტის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას;

3. სასწავლო უნივერსიტეტი დუალური მიდგომით პროგრამას შეიმუშავებს პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად.
4. სასწავლო უნივერსიტეტსა და საწარმოს შორის ფორმდება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც მოიცავს:
  - ა) საწარმოს საიდენტიფიკაციო მონაცემებს;
  - ბ) სასწავლო უნივერსიტეტის საიდენტიფიკაციო მონაცემებს;
  - გ) საწარმოს ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს;
  - დ) სასწავლო უნივერსიტეტის ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს;
  - ე) პროგრამის დასახელებას, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება თანამშრომლობა (გადანაწილებული სწავლის შედეგები);
  - ვ) პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობას, რომლებიც ჩართულები იქნებიან პროგრამაში;
  - ზ) მემორანდუმის ვადებს, შეწყვეტის წესს და სხვ.
5. მემორანდუმს დანართის სახით ახლავს საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი #1), ინფორმაცია ინსტრუქტორის შესახებ (დანართი #3) , ინფორმაცია პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ (დანართი #2).
6. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დუალურ პროგრამას თან ერთვის მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და საწარმოში/საწარმოებში ინსტრუქტორების შესახებ, ასევე ინფორმაციას მისაღწევი სწავლის შედეგების გადანაწილების შესახებ სასწავლო უნივერსიტეტსა და საწარმოს/საწარმოებს შორის.
7. სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტის მიერ საწარმოში ან სასწავლო უნივერსიტეტში გამოცდადების შესაძლებლობა და სასწავლო პროცესში მისი ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმები (გეოგრაფიული მდებარეობა, ტრანსპორტირება და სხვა); საწარმოსა და დაწესებულებას შორის საზოგადოდ ხელმისაწვდომი სატრანსპორტო საშუალებებით არსებული მანძილის დაფარვისათვის (მისვლა და დაბრუნება) საჭირო დრო არ უნდა აღემატებოდეს 3 საათს დღეში და არ უნდა იწვევდეს სტუდენტის მხრიდან არათანაბარზომიერ ხარჯებს;
8. დამტკიცებულ სასწავლო გეგმაში შესაძლებელია ცვლილება შევიდეს პროგრამის სპეციფიკის, სეზონისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით პროგრამის ხელმძღვანელის/კოორდინატორის მიზანშეწონილობის დასაბუთების საფუძველზე, რაც არ იწვევს პროგრამაში ცვლილებას.
9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებში გარკვეული ცვლილებები შესაძლებელია შევიდეს კანონმდებლობის ახალ მოთხოვნებთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის ან პროფესიული სტანდარტით დადგენილი კომპეტენციების ათვისების პროცესის გაუმჯობესების მიზნით;
10. შეიმუშავებული სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დუალური პროგრამა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმთან ერთად ავტორიზაციის მიზნებისთვის წარედგინება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;





#### მუხლი 4. ურთიერთობა პროფესიულ სტუდენტს, სასწავლო უნივერსიტეტსა და საწარმოს შორის

1. პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად;
2. პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შემდგომ ფორმდება ხელშეკრულებები:
  - I. **ორმხრივი ხელშეკრულება** სასწავლო უნივერსიტეტსა და პროფესიულ სტუდენტს შორის, რომელიც მოიცავს მხარეთა ვალდებულებებს, უფლებებს, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის და სხვა უფლება-მოვალეობებს;
  - II. **სამხრები ხელშეკრულება** სასწავლო უნივერსიტეტს, პროფესიულ სტუდენტსა და საწარმოს შორის და განისაზღვრება თითოეული მხარის უფლება-მოვალეობები. ის მოიცავს:
    - ა) თითოეული მხარის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს;
    - ბ) პროფესიული სტუდენტის ვალდებულებას;
    - გ) ინფორმაციას დაფინანსების შესახებ;
    - დ) ხელშეკრულების შეწყვეტის წესს, მოქმედების ვადას და სხვა.

#### მუხლი 5. საწარმოს ინსტრუქტორი

1. ინსტრუქტორი არის საწარმოს მიერ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული პირი, რომელიც ეხმარება პროფესიულ სტუდენტს პროფესიასთან დაკავშირებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების განვითარებაში.
2. ინსტრუქტორს აქვს პროფესიის შესაბამისი განათლება და/ან პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება
3. ინსტრუქტორი ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის უფლებებსა და მოვალეობებს, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის დროს.
4. ინსტრუქტორი იცავს შრომის უსაფრთხოების წესებს და ეხმარება პროფესიულ სტუდენტს უსაფრთხოების წესების შესწავლასა და დაცვაში. განსაზღვრავს სწავლების პროცესში შესაძლო რისკებს, რათა მოხდეს რისკების დროული პრევენცია. (მაგალითად, მიაწოდოს სტუდენტს ინფორმაცია შრომის უსაფრთხოების, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, პირველადი სამედიცინო დახმარების და სხვა საკითხების შესახებ);
5. ინსტრუქტორი იყენებს საგანმანათლებლო პროგრამას, სასწავლო გეგმას, სწავლებისა და შეფასების მეთოდებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის დროს.
6. ინსტრუქტორის კვალიფიკაციის დამადასტურებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც გაცემულია საწარმოს მიერ.



7. ინსტრუქტორი აწარმოებს სტუდენტთა შეფასების შედეგების მიღწევის დოკუმენტირებას, აწარმოებს პროფესიულ სტუდენტთა აღრიცხვას (დანართი #4) , ხელს აწერს პროფესიული სტუდენტების ჩანაწერების ჟურნალს;
8. ინსტრუქტორი გეგმავს და წარმართავს პროცესს საწარმოს ინფრასტრუქტურის, მატერიალური რესურსების, საწარმოს საჭიროების, საწარმოში მიმდინარე პროცესების თავისებურებათა (სეზონურობა, პროცესების უწყვეტი ციკლი, პროცესების პერიოდულობა და ა.შ) გათვალისწინებით;
9. ინსტრუქტორი იყენებს განმავითარებელ შეფასებას სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების წარმატებით დაძლევის მიზნით;
10. ინსტრუქტორი იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს და ხელს უწყობს სტუდენტს, პროფესიასთან დაკავშირებული ღირებულებების ჩამოყალიბებაში.
11. ინსტრუქტორი ზრუნავს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე და ეხმარება სტუდენტს სწავლის შემდგომ პროფესიული განვითარების შესაძლებლობების მოძიებაში.
12. საწარმოს შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ინსტრუქტორი პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე

**მუხლი 6: სასწავლო პროცესის განხორციელება და მონიტორინგი საწარმოებში;**

1. საწარმო სასწავლო პროცესს წარმართავს უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.
2. საწარმო ვალდებულია:
  - ა) სასწავლო პროცესის განხორციელება უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ინსტრუქტორის მეშვეობით;
  - ბ) უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;
  - გ) უზრუნველყოს სასწავლო პროცესის წარმართვა სასწავლო გეგმის შესაბამისად;
  - დ) უზრუნველყოს სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმირება პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისას აღმოჩენილი ნებისმიერი გარემოების შესახებ;
3. სასწავლო პროცესის შეფასებისა და მონიტორინგის პროცესი მოიაზრებს საწარმოში სწავლების კომპონენტის შეფასებასა და პერიოდულად მონიტორინგს სრული სასწავლო პროცესის განმავლობაში.
4. საწარმოს შესაბამისობის კონტროლი მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში (გაკვეული პერიოდულობით), საწარმოს ინსტრუქტორის პიროვნული და დარგობრივი შესაბამისობის კონტროლი მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში (პერიოდულად) ევალება სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამისი პროგრამის კოორდინატორს/ხელმძღვანელს.
5. სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი (სდს კოორდინატორი) ვალდებულია მუდმივი კომუნიკაცია აწარმოოს საწარმოს ინსტრუქტორთან, პროფესიულ სტუდენტებთან, მიაწოდოს უკუკავშირი და შესაბამისი რეკომენდაციები; პრობლემების





იდენტიფიცირების შემთხვევაში მიმართოს სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების განვითარების სამსახურს შემდგომი რეაგირებისათვის;

6. სასწავლო უნივერსიტეტი და საწარმო ვალდებული არიან განახორციელონ პროგრამის მიმდინარეობის პერიოდული მონიტორინგი და მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი პრობლემების და ხარვეზების შემთხვევაში მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით მიაწოდონ ინფორმაცია მეორე მხარეს;
7. დუალური მიდგომით სწავლების შეფასებას პერიოდულად (პროგრამის ხანგრძლივობის გათვალისწინებით მინიმუმ ორჯერ) ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროფესიულ სტუდენტთა/საწარმოს ინსტრუქტორთა/საწარმოს პასუხისმგებელ პირებთან გამოკითხვების გზით.

### მუხლი 7: პროფესიულ სტუდენტთა ჩანაწერების რვეული (ჟურნალი) ( დანართი #1)

1. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია საწარმოში სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში აწარმოოს ჩანაწერების რვეული (ჟურნალი);
2. ჩანაწერების რვეული (ჟურნალი) პროფესიული სტუდენტის მიერ უნდა ივსებოდეს რეგულარულად;
3. ჩანაწერების რვეულს (ჟურნალს) ამოწმებს და ჩანაწერების ნამდვილობას ხელმოწერით ადასტურებს საწარმოს ინსტრუქტორი;
4. საწარმოში ინსტრუქტორის მიერ პროფესიული სტუდენტის გაელილი სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება ხდება ჟურნალის ჩანაწერების საფუძველზე;
5. სრულფასოვნად შევსებული ჩანაწერების რვეული (ჟურნალი) საკვალიფიკაციო გამოცდებზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს;
6. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, დაწესებულებისათვის ჟურნალი წამოადგენს სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების საფუძველს;
7. ჩანაწერების რვეულის (ჟურნალის) ზოგად სტრუქტურას განსაზღვრავს სასწავლო უნივერსიტეტი;
8. ჩანაწერების რვეულის (ჟურნალის) წარმოების მონიტორინგს (სრულფასოვნად შევსების კუთხით) უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტის სდს კოორდინატორი.

### მუხლი 8. პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

1. დუალური სწავლების პროგრამის იმ მოდულების/შედეგების შეფასება, რომლებიც განხორციელდა სასწავლო უნივერსიტეტში ხორციელდება „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად მოდულური პროგრამებზე სწავლის შედეგების შეფასების ანალოგიურად..
2. იმ პრაქტიკული დავალებების შეფასება, რომლებიც ხორციელდება საწარმოში, სავალდებულოა მოხდეს პროგრამის განხორციელების ეტაპზე მინიმუმ ერთი შუალედური შეფასების ფორმით საბოლოო შეფასებამდე.



3. პროგრამის განხორციელების შუა ეტაპზე სასწავლო უნივერსიტეტი და პარტნიორი ორგანიზაცია (საწარმო) ერთობლივად განახორციელებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შუალედურ შეფასებას (დანართი #3);
4. სდს კოორდინატორი/პროგრამის ხელმძღვანელი ამოწმებს პროფესიული სტუდენტების ჩანაწერების რვეულს (ჟურნალს) , ადგენს შესაბამისობას შესრულებულ სამუშაოებსა და პროგრამით გათვალისწინებულ შესასრულებელ შედეგებს/კრიტერიუმებს შორის, თანამშრომლობს საწარმოს ინსტრუქტორთან.
5. სდს კოორდინატორი/პროგრამის ხელმძღვანელი შეფასებას განახორციელებს საწარმოს ინსტრუქტორთან ერთად პროფესიულ სტუდენტთა ჩანაწერებისა (ჟურნალი) და ინსტრუქტორის დაკვირვების ჩეკლისტის საფუძველზე თითოეული პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების შესაბამისობის შემოწმების გზით.
6. ჩეკლისტში შესრულებული კრიტერიუმების დადასტურება ხდება სდს კოორდინატორის/პროგრამის ხელმძღვანელის ხელისმოწერით.
7. შუალედური შეფასების შედეგები არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეზღერების ან შეწყვეტის საფუძველი.
8. შუალედური შეფასების შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის დასახვეწად და გაუმჯობესებისათვის;
9. შუალედური შეფასების შედეგების საფუძველზე შეფასებაზე პასუხისმგებელმა პირებმა შესაძლებელია შეიმუშაონ რეკომენდაციები სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანის ან/და სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროების შესახებ და მიმართონ შესაბამის სამსახურს შემდგომი რეაგირებისათვის.
10. შუალედური შეფასების განხორციელების მიზნით მხარეები უფლებამოსილნი არიან განახორციელონ:
  - ა) ჩანაწერების ჟურნალის (რვეულის) შესწავლა;
  - ბ) შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შესწავლა;
  - გ) სტუდენტების, საწარმოს ინსტრუქტორების და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების გამოკითხვა/ინტერვიუება;
11. შუალედური შეფასების შედეგები ფორმდება დაკვირვების პროცესის შეფასების ინსტრუმენტის (ჩეკლისტის) სახით ( დანართი #2) , რომელსაც ხელს აწერენ კოორდინატორი /პროგრამის ხელმძღვანელი სასწავლო უნივერსიტეტიდან და პრაქტიკის ინსტრუქტორი საწარმოდან.





## მუხლი 9. საკვალიფიკაციო გამოცდა

პროფესიული სტუდენტების საკვალიფიკაციო გამოცდა „ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი“ს შესაბამისად

## მუხლი 10. სხვა შემთხვევები

1. პროფესიული სტუდენტის მზრიდან საწარმოს შეცვლის პროცესი (თუ სტუდენტს სურს საწარმოს შეცვლა) პროგრამის განხორციელების მსვლელობის დროს გადაწყვეტილება მიღებული იქნება სასწავლო უნივერსიტეტთან, საწარმოებთან და შესაბამის ინსტრუქტორებთან კონსულტაციების საფუძველზე;
2. პროფესიული სტუდენტისა და საწარმოს შორის შესაძლო კონფლიქტების პრევენცია და მართვა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის მიერ;

## მუხლი 11. ცვლილებები და დამატებები

წინამდებარე წესში შეიძლება შევიდეს ცვლილებები და დამატებები სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებებით.

**დანართი #1-** პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების რვეული (ჟურნალი)

**დანართი #2-** საწარმოს ინსტრუქტორის ჩანაწერების ფურცელი (ჩეკლისტი)

**დანართი #3-** შეფასების ინსტრუმენტის ფორმა

**დანართი #4-** საწარმოში პროფესიულ სტუდენტთა აღრიცხვის პორტფოლიო





პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების რეგული (ფორმალი)  
 სსიპ შოთა შუბიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

-დანართი №1



პროფესიული (დუალური) საგანმანათლებლო პროგრამა

პროფესიული სტუდენტი: -----

პრაქტიკის ობიექტის დასახელება: \_\_\_\_\_

პრაქტიკის ინსტრუქტორი/ინსტრუქტორები: \_\_\_\_\_

20---წელი

ზუგდიდი







ქვიშვითი სტადენტის ჩანაწერების რეგული (ფორმალი)

დაწვრილი №1



სტადენტის მეტი სამსახურზე დასაბუთებელი დრო (საათი)	ინსტრუქციების შედეგად				ინსტრუქციების ხელმოწერა	კომენტარი
	0 არ იყო ჩართული	1 ჩართული არააქტიური	2 ჩართული აქტიური	3 მესრულდა დამოუკიდებლად		
შეკრულებული სამუშაოების მოცულობა						





**საწარმო უფლებამოსილია:**

1. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს შმათ-ვიორას პროფესიული სტუდენტის ჩართულობა ისეთი საბუღალსო შესარულუბლად, რომლიც უკავშირდება პროფესიული სუგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
2. შეწვიტას პროფესიული სტუდენტის დანიანსება სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სფუტელზე შემდეგ შემთხვევებში:
  - ა) პროფესიული სტუდენტის მიერ საწარმოს/სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესის მოთხოვნების სისტემატური ან ერთჯერადი უბეში დარღვევისას;
  - ბ) სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მინიმუმ ერთი სწავლის შედეგის ვერ დადასტურებისას;
  - გ) ერთი თვის განმავლობაში საკონტაქტო საათების 20%-ზე მეტის გაცდენისას;

**დუალური სწავლების პროფესიული სტუდენტის შეფასება და კვალიფიკაციის მინიჭება.**

1. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია საწარმოში სწავლის მიულო პერიოდის განმავლობაში აწარმოოს ჩანაწერების რეგული (ფორმალი), რომელიც უნდა იქსბოდეს რეგულარულად;
2. ჩანაწერების რეგულის (ფორმლის) ამოწმებს და ჩანაწერების ნამდვილობას ხელმოწერით ადასტურებს სასწავლო საწარმოს ინსტრუქტორი;
3. სასწავლო საწარმოში ინსტრუქტორის მიერ პროფესიული სტუდენტის გავლილო სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება ხდება ფორმლის ჩანაწერების სფუტელზე;
4. სრულფასოვნად შევსებული ჩანაწერების რეგული (ფორმალი) სკვალიფიკაციო გამოცდებზე დაშების წინაპირობაა;

ბასუბისმებელი პირები:

საწარმოდა: \_\_\_\_\_

საწარმოს ინსტრუქტორი/

სასწავლო უნივერსიტეტიდან: \_\_\_\_\_

სადს სწავლების კოორდინატორი/პროფესორი/პროფესორის ხელმოწერა









პროგრამის სახელწოდება –

პროგრამის თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციის დასახელება:-----

საწარმოს ინსტრუქტორი -----

ხდს კოორდინატორი (სასწავლო უნივერსიტეტიდან): \_\_\_\_\_

პროფესორული სტუდენტის გვარი, სახელი \_\_\_\_\_

**შეფასების ინსტრუმენტის ფორმა:** \_\_\_\_\_

(შუალედური/სამოლო)

მოდულების დასახელება:	
სწავლის შედეგები	
შესრულების კრიტერიუმები	
შეფასების მიმართულება: შეფასების ინსტრუმენტი	პროცესზე დაკვირვება
შეფასების პროცესის აღწერა	შეფასება ხორციელდება პროფესორულ სტუდენტთა ჩანაწერების რეგულირება (ყურნალი) და საწარმოს ინსტრუქტორის დაკვირვების ფურცლის (ჩეკლისტის) საფუძველზე თითოეულ სემესტრში პროფესორული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების შესაბამისად შემოწმების გზით







შეფასების მტკიცებულება	პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების რეგული (ფორნალი), საწარმოს ინსტრუქტორის მიერ შეცვლებული პროცესზე დაკვირვების ფურცელი (ჩეკლისტი)
შესრულების კრიტერიუმის/სწავლის შედეგის დადასტურება	იხ. დანართი 1 (--- გვერდი)
განმეორებითი შეფასების პირობები	პროფესიულ სტუდენტს შეუძლია შედეგები და კრიტერიუმები დაადასტუროს პრაქტიკული პროექტის დაწესებამდე
შეფასების სქემა	<p>პრაქტიკის მიმდინარეობისას პროფესიული სტუდენტი აწარმოებს შესრულებული სამუშაოების ჩანაწერების რეგულს (ფორნალს) რომელსაც ხელისმომწერით ადასტურებს საწარმოს ინსტრუქტორი და პარალელურად აწარმოებს პროცესზე დაკვირვების ფურცელს (ჩეკლისტს). სდს კოორდინატორი ამოწმებს პროფესიული სტუდენტების ჩანაწერების რეგულს (ფორნალს) ადგენს შესაბამისობას შესრულებულ სამუშაოებსა და პროგრამით გათვალისწინებულ შესასრულებელ შედეგებს/კრიტერიუმებს შორის, თანამშრომლობს საწარმოს ინსტრუქტორთან. შეფასებას განახორციელებს სდს-ს კოორდინატორი საწარმოს ინსტრუქტორთან ერთად პროფესიულ სტუდენტთა ჩანაწერებისა (ფორნალი) და ინსტრუქტორის დაკვირვების ჩეკლისტის საფუძველზე თითოეული პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების შესაბამისობის შემოწმების გზით.</p> <p>ჩეკლისტში შესრულებული კრიტერიუმების დადასტურება ხდება სდს კოორდინატორის ხელისმომწერით. პროფესიულ სტუდენტს მოდულები/შედეგები უდასტურდება ყველა შეფასების კრიტერიუმების დადასტურების შემთხვევაში. შეფასება სავალდებულოა მოხდეს პროგრამის განხორციელების ეტაპზე მინიმუმ ერთი შუალედური შეფასების ფორმით საბოლოო შეფასებამდე.</p>





**შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის  
პროფესიულ სტუდენტთა აღრიცხვის პორტალოდ**

„-----“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

პრაქტიკის ობიექტი: -----

პრაქტიკის ინსტრუქტორები:

- -----
- -----
- -----

**ზუგდიდი 20---- წელი**





**საწარმო უფლებამოსილია:**

1. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს შაბათ-კვირას პროფესიული სტუდენტის ჩართულობა ისეთ სამუშაოს შესასრულებლად, რომელიც უკავშირდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
2. შეწყვიტოს პროფესიული სტუდენტის დაფინანსება სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შემდეგ შემთხვევებში:
  - ა) პროფესიული სტუდენტის მიერ საწარმოს/სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესის მოთხოვნების სისტემატური ან ერთჯერადი უხეში დარღვევისას;
  - ბ) სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მინიმუმ ერთი სწავლის შედეგის ვერ დადასტურებისას;
  - გ) ერთი თვის განმავლობაში საკონტაქტო საათების 20%-ზე მეტის გაცდენის;

**დუალური სწავლების პროფესიული სტუდენტის შეფასება და კვალიფიკაციის მინიჭება.**

1. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია საწარმოში სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში აწარმოოს ჩანაწერების რეგული (ჯურნალი), რომელიც უნდა ივსებოდეს რეგულარულად;
2. ჩანაწერების რეგულს (ჯურნალს) ამოწმებს და ჩანაწერების ნამდვილობას ხელმოწერით ადასტურებს სასწავლო საწარმოს ინსტრუქტორი;
3. სასწავლო საწარმოში ინსტრუქტორის მიერ პროფესიული სტუდენტის გაცლილი სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება ხდება ქურნალის ჩანაწერების საფუძველზე;
4. სრულფასოვნად შეესებოდა ჩანაწერების რეგული (ჯურნალი) საკვალიფიკაციო გამოცდებზე დაშვების წინაპირობაა;

**ინსტრუქტორების ხელისმომწერა:**

\_\_\_\_\_ /

\_\_\_\_\_ /

\_\_\_\_\_ /

\_\_\_\_\_ /

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსი:

